საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კელაპტრიშვილი ომარ მიხეილის ძე

კელაპტრიშვილი ომარ მიხეილის ძე (1. I. 1943, სოფ. კავთისხევი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 16. VIII. 1992, თბილისი), მუსიკოსი, მუსიკალური ნაწარმოებების ვირტუოზი შემსრულებელი სალამურზე. საქართვ. სახ. არტისტი (1989), საერთაშორისო ფესტივალების (ქ. კონფოლანი, საფრანგეთი, 1970; ქ. კელნი, გერმანია, 1980, 1990; პირველი ადგილი და ოქროს მედალი) ლაურეატი; 1964 დაამთავრა ს. ზაქარიაძის სახ. თბილ. კულტ.-საგანმანათლებლო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყ-ბა ორკესტრის დირიჟორის სპეციალობით.

1971–72 სწავლობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში ფლეიტის განყ-ბაზე. 1964–69 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის ხალხ. საკრავთა ორკესტრის (ხელმძღვ. კ. ვაშაკიძე) სოლისტად. 1964 საქართვ. ინდივიდ. შემსრულებელთა კონკურსზე პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა. 1981 სათავეში ჩაუდგა საქართვ. ტელე-რადიოკომიტეტის ხალხ. საკრავთა ორკესტრს, რ-საც ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა", მოგვიანებით კი „კელაპტრები" ეწოდა. 1980 კ-მა გახსნა ლაბორატორია-სახელოსნო, სადაც ქართ. ხალხ. საკრავებს ამზადებდნენ. იგი მოგზაურობდა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში და აგროვებდა ფოლკლორულ მასალას. მრავალი წლის განმავლობაში გამოდიოდა ანსამბლ „რუსთავთან" ერთად. 1987 ხელოვნ. მუშაკთა სახლთან ჩამოყალიბდა ხალხ. საკრავთა ტრიო (ო. კელაპტრიშვილი, გ. და დ. კანდელაკები), რ-მაც ამავე წელს საკავშ. დათვალიერებაზე ლაურეატის წოდება მოიპოვა. 1978-იდან დააარსა ხალხ. საკრავთა რამდენიმე სკოლა-სტუდია, 1988 – ხალხ. საკრავთა ორკესტრი. სალამურზე მაღალი ოსტატობით უკრავდა ქართვ. და უცხოელ კომპოზიტორთა ურთულეს მუს. ნაწარმოებებს. მან გააფართოვა ამ საკრავის რეპერტუარი, გამოავლინა მისი უჩვეულო შესაძლებლობები. იყო დები იხშნელების პრემიის ლაურეატი (1999). თბილისში კ-ის საცხოვრებელ სახლთან მდებარე მისივე სახ. სკვერში დგას კ-ის ბიუსტი

(2003, მოქანდაკე გ. პიპინაშვილი). მის მშობლიურ სოფ. კავთისხევში გაიხსნა კ-ის სახლ-მუზეუმი.